გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 72

2025 წლის 13 ივნისი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №152 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №152 განკარგულებით დატკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ლიმიტები.

გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას 2025 წლის 15 მაისს გაფორმებული თხოვების ხელშეკრულებით გადაეცა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილი, შემდეგი მონაცემებით: მარკა - KIA, ტიპი - მაღალი გამავლობის, მოდელი - SELTOS, სახელმწიფო ნომერი - YY 070 MM, სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი - KNAER81AKP7495713, გამოშვების წელი - 2023, ფერი - რუხი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №152 განკარგულებაში და განკარგულებით დამკიცებული დანართიდან ამოღებულ იქნას მითითებული ავტომობილი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №152 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი № 1

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის საწვავის ლიმიტები

№	ავტომანქანის მარკა (ლათინურად)	ავტომანქანის მოდელი (ლათინურად)	ავტომანქანის სახ. ნომერი (ლათინურად)	გამოყოფილი საწვავის ლიმიტი		შენიშვნა	დანიშნულება
				ბენზინი	დიზელი		
1	Kia	Seltos	WS 292 WW	600		განპიროვნებული ავტომობილი	მერია
2	RENAULT	DUSTER	BB 238 BC		400	განპიროვნებული ავტომობილი	მერია
3	FIAT	TIPO	FS 319 SS	500		განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
4	Lexus	RX330	RA 007 CH	450		განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
5	Volkswagen	Passat	OG 191 GG	450		განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
6	BMW	X5	AD 717 AC		450	განპიროვნებული ავტომობილი	საკრებულო
7	MITSUBISHI	L200	SS 108 SO		300	სამორიგეო ავტომობილი	საკრებულო
8	Lexus	GX 470	QC 929 CC	450		სამორიგეო ავტომობილი	საკრებულო
9	FIAT	TIPO	FF 742 UU	300		სამორიგეო ავტომობილი	მერია
10	FIAT	TIPO	FF 732 UU	300		სამორიგეო ავტომობილი	მერია
11	FIAT	TIPO	VV 011 EE	300	FIAT	სამორიგეო ავტომობილი	მერია
12	RENAULT	DUSTER	BB 239 BC		300	სამორიგეო ავტომობილი	მერია
13	FIAT	TIPO	FF 738 UU	300		სამორიგეო ავტომობილი	მერია
14	RENAULT	DUSTER	PP 594 FF		300	სამორიგეო ავტომობილი	მერია
15	RENAULT	Sandero	DD 045 YD		300	სამორიგეო ავტომობილი	მერია
16	FORD	RANGER	BB 207 BC		500	სამორიგეო ავტომობილი	მერია
	ერთი თვის ჯამი			**3650**	**2550**		
	ერთი წლის ჯამი			**43,800**	**30,600**		